



სახელმწიფო შესყიდვების  
სააგენტოს თავმჯდომარის  
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080104445500317

# 2248

08 / აგვისტო / 2017 წ.

სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გაუმართაობასთან დაკავშირებით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ

2017 წლის 7 აგვისტოს 16:05 საათიდან 20:40 საათამდე სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა ფუნქციონირებდა შეფერხებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-13 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე:

1. ელექტრონულ ტენდერებში - SPA170010220, SPA170010268 და SPA170010309 წინადადებების მიღების დასრულების ვადად განისაზღვროს 2017 წლის 9 აგვისტოს 16:00 საათი.
2. ელექტრონული ტენდერები - NAT170008414, NAT170008533, NAT170008387, NAT170008398, NAT170008452, NAT170008574 და NAT170008695 შეწყდეს შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ.
3. ამ განკარგულების პირველი პუნქტის გათვალისწინებით, ვაჭრობის დამატებით რაუნდებთან და ელექტრონული ტენდერებისთვის მინიჭებულ ტენდერის სტატუსებთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგება განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ.
4. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე [www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge).

5. ამ გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ ეცნობოთ რეგისტრირებულ მომხმარებლებს სისტემური შეტყობინების მეშვეობით.

6. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი



ზაზა ნანოშავილი